საინტერესო მატჩი

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის "დინამოს" სტადიონი. 27 ივნისი.

"დინამო" (თბილისი) – "ტორპედო" (ქუთაისი) 2:0 (1:0).

"დინამო": კუცია, დანელია, ჩივაძე, კერესელიძე (ფრუიძე), ჟიბა, ჯოხაძე, სვანაძე (კაკილაშვილი), სულაქველიძე, გუცაევი, ცაავა, ჟორჟიკაშვილი.

"ტორპედო": გაბელია, კოსტავა, ჭილაია, ჭელიძე, თავაძე (თვალაბეიშვილი), თევზაძე, კორღალიძე, კეტაშვილი, მეგრელაძე, უგულავა (ბურკაძე), კვერნაძე.

მსაჯი: ი. სერგიენკო (ხარკოვი).

გააფრთხილეს თევზაძე.

დუბლიორები – 4:0. ბურთები გაიტანეს გურულმა, მიქაბერიძემ, ბარათაშვილმა, ჩქარეულმა.

ჩვენი რესპუბლიკის ორი საუკეთესო გუნდის კალენდარული თამაშები საკავშირო პირველობაზე მუდამ დაძაბული, შეუპოვარი ბრძოლით აღინიშნება. ფეხბურთი ფეხბურთია, სპორტული მისწრაფება მეტოქეებს, როგორც წესი, აიძულებს იბრძოლონ მაქსიმალური მონდომებით. ამ მხრივ გამონაკლისი არც 27 ივნისის მატჩი იყო: როგორც მასპინძლებმა, ისე სტუმრებმა გამოავლინეს დიდი სწრაფვა გამარჯვებისაკენ, რაიმე დათმობაზე არავის უფიქრია. ანგარიში გაიხსნა შეხვედრის დასაწყისშივე, საკმაოდ რთულ სიტუაციაში: ჯერ კიდევ ურთიერთდაზვერვა მიმდინარეობდა, ბურთი ტორპედოელ უგულავას ჰქონდა მინდვრის შუაგულში, მას შეეძლო მარჯვენა ფლანგზე წამოეწყო კომბინაცია და უნდა გაეკეთებინა კიდეც ეს, მაგრამ დაყოვნდა, დროზე არ გადააწოდა და დაკარგა ბურთი. დინამოელებმა მაშინვე გაიყვანეს გარღვევაზე გუცაევი, იგი დიდი სისწრაფით გაიჭრა მარცხენა ფლანგზე, გაექცა მცველებს და, მოპირდაპირე კარს მახვილი კუთხით მიახლოებულმა, ძლიერად დაარტყა მიზანში – 1:0.

ეს მოხდა მეორე წუთზე. გატანილი გოლის შემდეგ მეტოქეები საგულდაგულო ყურადღებით მოქმედებდნენ მინდვრის შუაში, ცდილობდნენ შეცდომა არ დაეშვათ, არ გამოჰპარვოდათ მეტოქეთა მოულოდნელი მანევრი. მალე გამოირკვა, რომ შეტევაში დინამოელებს ჰყავდათ აშკარად გამოკვეთილი ლიდერი – გუცაევი, ხოლო ტორპედოელთა შორის ეს როლი ამ პერიოდში ვერავინ იკისრა. გუცაევის გარღვევების სალიკვიდაციოდ ტორპედოელები იძულებული იყვნენ დამატებით გამოეყოთ თავისუფალი მცველი, ე.წ. "მწმენდელი" – კოსტავა, რომელსაც ხშირად უხდებოდა ამ ძნელი მისიის შესრულება.

მხოლოდ ტაიმის დასასრულს ამოქმედდნენ სრული ძალით ქუთაისელი თავდამსხმელები, რამდენიმე სახიფათო რეიდი განახორციელეს დაცვითი რგოლების მოთამაშეებმა კეტაშვილმა, ჭილაიამ, თევზაძემ, 34–ე წუთზე კვერნაძემ მარჯვენა ფლანგიდან ჩააწოდა კარის წინ, აქ თავით კარგად ითამაშა მეგრელაძემ, მაგრამ იგი ამ მომენტში თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

საგრძნობლად იმატა თამაშის ტემპმა მეორე ტაიმში და აქ უნდა აღინიშნოს, რომ ტორპედოელთა თავდასხმასაც გამოუჩნდა ტონის მიმცემი მოთამაშე. ეს იყო კვერნაძე, რომელიც განუწყვეტლივ ასრულებდა ფრონტალურ მანევრებს და სრულ დაძაბულობაში ჰყავდა დინამოელთა მცველები. ერთ–ერთ მომენტში კვერნაძის მორიგი გარღვევის შემდეგ მეგრელაძემ ბურთი თავით გაგზავნა კუციას კარში, მაგრამ მეკარემ დროულად შეარჩია ადგილი.

შემდგომში დინამოელები თანდათან კვლავ დაეუფლნენ ინიციატივას, გუცაევს კარგად აუბეს მხარი ცაავამ და ჟორჟიკაშვილმა, აქტიურად თამაშობდნენ ნახევარმცველებიც და სწორედ მაშინ, როცა თამაშის ბედი ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ გარკვეული, ჯოხაძემ კარგად გადააწოდა ბურთი ჟორჟიკაშვილს, რომელმაც კარის შორეულ კუთხეში გაგზავნა იგი – 2:0.

თბილისის "დინამოსა" და ქუთაისის "ტორპედოს" ეს მატჩი მეტად საინტერესო გამოდგა, ორივე მხარემ მაღალი საბრძოლო მომზადება გამოავლინა.

ბ. ქორქია.
"ლელო", 28 ივნისი, 1983 წ.